ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4261812

ნომერი: AR1642986

თარიღი : 08.11.2018

გაცემის თარიღი : 13.11.2018

გაცნობის თარიღი : 15.11.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ორხევი , მუხაძის ქუჩა N4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ბექაური პ/ნ 01027074444
- თბილისი ჯავახეთის I შეს. N 4 ბ. 49

ორგანიზაცია:

- შპს როიალ გრუპი კოდი: 405226189

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

- თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი (საკ კოდით N 01.19.17.002.005)მდებარეობს საერთაშორისო აეროპორტის „ დაბრკოლებებისგან შემზღუდველი ზედაპირებით შემოფარგლული აეროდრომის რაიონი“-ს არეალში , სადაც დადგენილია ზღვრული სიმაღლეები , რომლის ზედა ნიშნულის ზევით, გარკვეული სახით იზღუდება შენობების სიმაღლეები. საქართველოს საჰაერო კოდესის 41-ე მუხლის თანახმად, აეროდრომის რაიონში მიწის ნაკვეთის, შენობის, ნაგებობის, კავშირგაბმულობისა და ელექტროგადამცემი ხაზების და სხვა ობიექტების მფლობელები მათი განთავსებისას ან გამოყენებისას ვალდებული არიან, მათი გამოყენების და ამ ობიექტებით სარგებლობის პირობები აეროდრომის ექსპლუატაციის განმახორციელებელ პირთან შეათანხმონ და შესაბამისი სამუშაოები საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმების დაცვით.

თქვენს შემთხვევაში აღნიშნული საპროექტო სიმაღლის დონის აბსოლიტური ნიშნული (რუკის გრაფიკული მონაცემების მიხედვით ,ობიექტის სამშენებლო მოედნის შემაღლება საშუალო ზღვის დონიდან (MSL)MMM. m) ფიქსირდება 508-რომლის მაღლა/ზევით მშენებლობა დაუშვებელია, აღნიშნულის გათვალისწინებით ვინაიდან საპროექტო ნაკვეთზე, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებების სტადიაზე წარმოდგენილი ტოპოტგრაიული გეგმის მიხედვით ნიშნული შეადგენს 514, ანუ არსებული მდგომარეობით უკვე გადაჭარბებულია შესაბამისად წარმოადგინეთ შპს „ტავ ურბან საქართველო“-ს თანხმობა, ღობის მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

- გაურკვეველია თქვენს მიერ წარმოდგენილი საკადასტრო გეგმის მიხედვით ჩრდილოეთის მხარეს, როგორ ხდება საპროექტო ღობის მოწყობა რადგან საკდასტრო გეგმაზე აღნიშნულ ტერიტორიაზე ფიქსირდება შენობა-ნაგებობები. იმ შემთხვევასი თუ აღნიშნული შენობა-ნაგებობები დემონტირებულია წარმოადგინეთ განახლებული საკადასტრო გეგმა.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.